საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 9 22 0000051077

21/01/2022

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე გრიფირების გამოცხადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „თ“, „რ“, „ფ“ და „ც“ ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის 3^1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, 8^2 მუხლის მე-5 პუნქტის, 9^3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2022 წლის 18 იანვრის N37529 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ დანერგვის ხელშეწყობის მიზნით:

ა) გამოცხადდეს გრიფირება ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ შესარჩევ ერთეულებზე;

ბ) განისაზღვროს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე გრიფირების განაცხადისა და სახელმძღვანელოს მაკეტის კონცეფციის წარმოდგენისა და სხვა ვადები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) განისაზღვროს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების შეძენისათვის გადასახდელი საავტორო ჰონორარის ოდენობა და გადახდის სტრუქტურა დანართი N3-ის შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს გრიფირების განაცხადის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

ე) დამტკიცდეს სახელმძღვანელოს მაკეტის ანკეტის რეკვიზიტები ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი